

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ნანა ნანობაშვილის ანგარიში
2021 წ. გაწეული მუშაობის შესახებ.

კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საკრებულოს რეგლამენტითა და კომისიის დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილებათა განხორციელებას. კომისია შექმნილია დებულებით, მის სფეროს მიკუთვნებული საკითხების საკრებულოში წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს, მერიის სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით.

2021 წ. კომისიის შემადგენლობა განსაზღვრული იყო 7 წევრით.

სამუშაო გეგმის ძირითად მიმართულებად განსაზღვრული გვექონდა:

- კომისიაში შემოსული წერილების, განცხადებებისა და პროექტების განხილვა;
- მოსახლეობის ინტერესების შესწავლა კომისიის უფლებამოსილების სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე;
- პარტნიორული, სისტემური კავშირის ჩამოყალიბება სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საკითხთა და სოციალურ საკითხთა კომისიასა და მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებსა და ა. (ა). ი. პ-ებს შორის;
- კომისიის სხდომების მომზადება და ჩატარება;
- კომისიის ანგარიშის მომზადება და წარდგენა ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე;
- სიღნაღის მუნიციპალიტეტში კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საკითხთა და სოციალურ საქმეთა სფეროში არსებული პრობლემების გამოვლენა და მათი სისტემატიკაცია, ურთიერთკავშირის დადგენა და ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრა;

საანგარიშო პერიოდში კომისიამ ჩაატარა 6 სხდომა, სადაც განიხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

- სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის, ხათუნა აღამონაშვილის ანგარიში 2021 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.
- „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების პროგრამა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 აპრილის N21 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

- სიღნაღის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2021-2024 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ.
- „სიღნაღის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021-22 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“
- სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსის ლია ბაკაშვილის ანგარიში 2021 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ
- ა (ა) ი.პ. კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორის მურად ვაშაკიძის 2021 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.
- სიღნაღის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სტრატეგიისა და 2021-2023 წ სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საკითხთა და სოციალურ საქმეთა კომისია თანამშრომლობს საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებთან , 2021წ გვაქვს ჩატარებული ერთი ერთობლივი სდომა იურიდიულ კომისიასთან ერთად სადაც განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

- სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის გიორგი გოგილაშვილის 2020 წლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ;
- სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერისთვის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის- მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალური სააგენტოს შექმნასა და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების დელეგირებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;
- „სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წ 28თებერვლის N 16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
- სიღნაღის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;

რის საფუძველზეც საკრებულოს ბიუროს წარედგინა აღნიშნულ საკითხებზე მომზადებული ერთობლივი დასკვნები.

კომისია სისტემურად უზრუნველყოფდა შემოსული წერილების, განცხადებებისა და პროექტების განხილვას.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედმა კომისიებმა ფრაქციებთან ერთად განვიხილეთ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2021 წ ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“დადგენილების პროექტი. არც ერთი საკითხი , რომელის განხილვაც საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საკითხთა და სოციალურ საკითხთა კომისიასას ეხებოდა , არ დაგვიტოვებია განსაკუთრებული ყურადღების გარეშე. ჩვენ მოვიწვიეთ ყველა სამსახურის ხელნმძღვანელი და მოვითხოვეთ განემარტა

კომისიისათვის ყველა ის პროექტი, რომლის განხორციელებასაც მუნიციპალიტეტის თანხებით გეგმავდა. ვფიქრობთ, ჩვენმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და ბიუჯეტში მაქსიმალურად იყო წარმოდგენილი ყველა ის საშუალება, რაც მუნიციპალიტეტს ამ ეტაპზე გააჩნდა.

კომისიაში შესაბამისი სფეროს სამსახურებიდან სისტემურად შემოდიოდა ინიციატივები, წინადადებები, პროექტები, ასევე განხორციელებული სამუშაოს შესახებ ანგარიშები. მინდა ხაზგასმით ავლიშნო მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფისა და კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურების თანამშრომლობა კომისიასთან.

როგორც შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი აქტიურად ვიყავი ჩართული სიღნაღის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირთა საჭიროებათა კვლევაში. საბჭოს წევრებთან ერთად წარმატებით ვითანამშრომლე ორგანიზაციასთან: „ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის“, რომელმაც სიღნაღის მუნიციპალიტეტში განახორციელა პროექტი შშმ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. პროექტის მიზანი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ადვოკატირება, მათთვის საზოგადოებრივ სიკეთეზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის.

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღეთ ახალგაზრდობის სააგენტოს პროექტში, ახალგაზრდობის საჭიროებები და გამოწვევები მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე. პროექტის ფარგლებში სიღნაღის მუნიციპალიტეტში ჩატარდა ახალგაზრდობის საჭიროებათა კვლევა, რომელშიც 300 მდე ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა, ხოლო კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შევიმუშავეთ და საკრებულოს სხდომაზე დავამტკიცეთ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2021-2023 წ“. აღნიშნული დოკუმენტები მიზნად ისახავს ჩვენს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის გააქტიურებას, მათი მონაწილეობის და ჩართულობის გაზრდას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

როგორც სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, საანგარიშო პერიოდში, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 47-ე მუხლის შესაბამისად მონაწილეობას ვიღებდი სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველ ოჯახებზე ერთჯერადი სოციალური დახმარების გაცემის კომისიის სხდომებში.

მოგეხსენებათ, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში თვითმმართველ ერთეულზე დელეგირებული უფლებამოსილებები განსაზღვრულია კანონით „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“.

მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ, კორონა ვირუსის ეპიდემიად (შემდგომშია პანდემიად) გამოცხადების შემდეგ, ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ კორონა ვირუსის პრევენციის მიზნით ჩატარებული ღონისძიებები. ამ უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ვთანამშრომლობდით ააიპ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი“ს თანამშრომლებთან, ვეცნობოდით მათ სამუშაო გეგმებს, ვისმენდით ანგარიშებს, ვმსჯელობდით ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე და ვარჩევდით პრობლემის მოგვარების გზებს. მინდა ავღნიშნო, რომ 2021 წ. პანდემიის მიუხედავად, სიღნაღის მუნიციპალიტეტში გეგმით გათვალისწინებული რიგი ღონისძიებები მაინც ჩატარდა, რეგულაციების დაცვით. პირადად, როგორც კომისიის თავმჯდომარემ მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთად მონაწილეობა მივიღე მათ დაგეგმვასა და ორგანიზებაში. ვესწრებოდი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილ, კულტურულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს.

აქტიურად ვთანამშრომლობდით არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებსაც აქვთ განსხვავებული ხედვები, დამოკიდებულებები, მიდგომები მთელი რიგი საკითხების მიმართ. ჩვენთვის საყურადღებოა მათი წინადადებები, რეკომენდაციები, რომლებსაც დიდი ყურადღებით ვეცნობოდით და ვითვალისწინებდით კიდევ. მისასალმებელია მოსახლეობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობა. მიმაჩნია, რომ ასე უფრო მეტადაა შესაძლებელი ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება.

ვფიქრობ, რომ გასული 2021 წ. იყო ნაყოფიერი და საინტერესო, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საკითხთა და სოციალურ საკითხთა კომისია მაღალი პასუხისმგებლობით, აქტიურობით, გულისხმიერებითა და ეფექტური მიდგომებით განახორციელებს დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი უფლებამოსილების ვადაში გავაგრძელებთ ჩვენს მოქალაქეებთან აქტიურ კომუნიკაციას და მათი ინტერესების მაქსიმალური დაცვას. ამის გარანტიად უპირველესად მიმაჩნია მათდამი ჩვენი დამოკიდებულება და მუნიციპალიტეტის განვითარების სწორად დასახული პრიორიტეტები

კომისიის თავმჯდომარე :

ნანა ნანობაშვილი

სიღნაღის მუნიციპალიტეტში კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საკითხთა და სოციალურ საქმეთა კომისია.